დანართი

| N | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ნარჩენი ღირებულება/აუდიტის მიერ დადგენილი ფასი | ჯ ა მ ი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტელევიზორი Philips43PFT4001/60 43 | ცალი | 1 | *637.00*/300.00 | 300.00 | |
| 2 | ტელევიზორი Philips43PFT4001/60 43 | ცალი | 1 | *637.00*/300.00 | 300.00 | |
| 3 | ნოუთბუქი HP 255 G4 15.6 EI-6015, 2GB, 500GB DVD/RW | ცალი | 1 | *238.40*/250.00 | 250.00 | |
| 4 | ნოუთბუქი HP 255 G4 15.6 EI-6015, 2GB, 500GB DVD/RW | ცალი | 1 | *238.40*/250.00 | 250.00 | |
| 5 | მონიტორი Philips 223V5LSB2/62 21 | ცალი | 1 | 100.00 | 100.00 | |
| 6 | სამეთვალყურეო კამერა HS-AHD003A4AHD | ცალი | 4 | 60.00 | 240.00 | |
| 7 | ვიდეო რეგისტრატორი DVR HS-AHR400 4CH | ცალი | 1 | 200.00 | 200.00 | |
| 8 | ადაფტერი PA107 | ცალი | 1 | 60.00 | 60.00 | |
| 9 | უწყვეტი კვების წყარო GUARDIAN 600 AP, 600V A/360W | ცალი | 1 | 60.00 | 60.00 | |
| 10 | ტელევიზორის საკიდი KL22-44F 32-55 | ცალი | 2 | 50.00 | 100.00 | მაკომპლექტებელი ნაწილები |
| 11 | კაბელი HDMI To HDMI 20.0m | ცალი | 2 | 70.00 | 140.00 | |
| 12 | მყარი დისკი 500GB SATA 3.5 Toshiba | ცალი | 1 | 120.00 | 120.00 | |

ბ. [signature] ს. [signature]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | აკუმულატორი 12v/7AH | ცალი | 1 | 27.00 | 27.00 | |
| 14 | კაბელი CCTV | მეტრი | 150 | 1.15 | 172.50 | |
| | აუდიტის მიერ დადგენილი ფასების ჯ ა მ ი | | 168 | | 2319.50 | |
| | აქტივების ნარჩენი ღირებულებების ჯ ა მ ი | | | | *1750.80* | |

# საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე


## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2/2623/20 — 17-11-2020

### საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 35-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-10 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის პირველი, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებისა და „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის №9/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“, „რ“ და „ფ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 13 ნოემბრის №1-15241/20 წერილის საფუძველზე:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას უსასყიდლოდ, უვადოდ, სარგებლობის უფლებით გადაეცეს საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება – ამ ბრძანების დანართში ჩამოთვლილი მატერიალური ფასეულობები.

2. ამ ბრძანებით განსაზღვრული მოძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მიღება - ჩაბარების აქტი გაფორმდეს ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა. აღნიშნულ მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (კომენდანტი) ზურაბ ჩხარტიშვილი.

3. საქართველოს პარლამენტის აპარატმა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება ამ ბრძანებით განსაზღვრული მოძრავი ქონების საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსიდან მოსახსნელად.

4. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2020 წლის 17 ნოემბერს და ძალაში შევიდეს მისი საჯაროდ გამოცხადების დღიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის აპარატის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
შოთა გოშაძე

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბაღდათი

18 ნოემბერი 2020 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, წამყვანი სპეციალისტი ზურაბ ჩხარტიშვილი და მეორეს მხრივ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიური სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მიხეილ სახამბერიძე ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 13 ნოემბრის № 1-15241/20 წერილისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 17 ნოემბრის № 2/2623/20 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა, წამყვანმა სპეციალისტმა ზურაბ ჩხარტიშვილმა ჩააბარა, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიური სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა მიხეილ სახამბერიძემ ჩაიბარა დანართში ჩამოთვლილი ქონება

მატერიალური ქონების ჩამონათვალის დანართი: 1 ფურცელი;

აქტი სწორია, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ჩააბარა:

საქართველოს პარლამენტის აპარატის

სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის

საკომენდანტო განყოფილების

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი,

წამყვანი სპეციალისტი

ზურაბ ჩხარტიშვილი

ჩაიბარა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიური სამსახურის პირველი კატეგორიის

უფროსმა სპეციალისტმა

მიხეილ სახამბერიძე